№ 179 აგვისტო 21, სამშაბათი 1890 აგვისტო 21, სამშაბათი № 179

„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

დროება

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, ო. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(18—4)

სასწავლებელი

ს. ბ. ჟორჟოლიანისა

(ქუთაისში)

უეგზამენოდ ყმაწვილებს მიიღებს 15 სექტემბრამდე მასწავლებელ-აღმზრდელი ილარიონ დ. ძე ბოლქვაძე.

(10—1)

ახალი ამბავი

*** უკვე იბეჭდება და იქით კვირის დარიგდება გასასყიდად მამა ი. მარაშიძის მიერ შედგენილი «ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა». ამ წიგნის დაბეჭდვა ფრიად სასიამოვნოა და კარგი იქმნება, რომ მალე გავრცელდეს და ბევრმა შეისწავლოს, რადგან ნოტების უცოდინარობის გამო ბევრი ქართული სამშობლო ხმა იკარგება.

*** წელს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლამ ექვსი ყმაწვილი დანიშნა კლასიკურ გიმნაზიაში მისაცემად და ზაფხულში ქუთაისისაკენ აგარაკად წაიყვანა, რომ მოემზადებინა ეგზამენების დასაჭერად. ეხლა ყმაწვილები უკანვე ჩამოვიდნენ ტფილისში და ამ ორიოდ დღეში გიმნაზიებში შესასვლელი ეგზამენებიც დაეწყებათ. სოფლად ყმაწვილების წაყვანა და იქ მომზადება ეს მეორედ არის. პირველად შარშან წაიყვანეს სურამში და, თუმცა ხარჯი ბლომად მოუვიდა სკოლას, მაგრამ სამაგიეროდ ყმაწვილებმა თითქმის ყველამ კარგად დაიჭირა ეგზამენი და გიმნაზიაში შევიდა. წელს როგორც წავა ამათი საქმე, თავის დროზე შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს.

*** ტფილისში ჩამოსულა ორი ინგლისელი: სიმი და მონროი. ესენი გამოჩენილი კაცები არიან მთელს ევროპაში, როგორც კარგნი რკინის გზის გამყვანნი. ეხლაც იმიტომ არიან მოსულნი, რომ ის ადგილები დაათვალიერონ, რომელზედაც ახალი რკინის გზა უნდა გაიყვანონ კავკასიის უმთავრეს უღელტეხილზედ, და შემდეგ სურამის გვირაბის კურთხევაზედ დასასწრებლად უნდა წავიდნენ.

*** ქუთაისი: „ივერიაში" იყო ნათქვამი რომ, დამრჩვალის ლამაზის ქალის გვამი იპოვეს მდ. რიონში, ქუთაისის მახლობლად და ჯერაც ვერ გაუგიათ იმისი ვინაობაო. ეს ბედისაგან გამწარებული და უდროოდ წუთი-სოფელს გამოსალმებული ქალი ყოფილა ვიღაც რაჭის, ბუგეულის საზოგადოების და სოფ. ნიკორ-წმინდის მცხოვრების, გლეხის იუსტინე სოხაძის ცოლი, მართა ნიკოლოზ დევალის ასული. ცოლ-ქმართ ერთმანეთში ურიგო ცხოვრება ჰქონიათ: ქმარი ხშირად სცემდა და სტანჯავდა თურმე უდანაშაულოდ ქალს თავის „არამგამობით". ცოლი ამ უბრალოზედ გამძვინვარებულს ადამიანს მაინც არ მოშორებია: ერთს დღეს იმათ ღორებს ტყემლის კურკა ძალზე ეჭამათ და სამი ღორი იქვე გაჭიმულიყო. იუსტინეს ეს ამბავი გაეგო, ეგდო ხელში მიზეზი, და ცოლისთვის საშინლად ეცემა: თმები დაეგლიჯა, სახე დაეკაწრა და მერე დარჩობაც მოენდომებინა, მაგრამ გამწარებული ქალი ხელიდგან გამოსხლტომია და რიონისთვის მიეშურებინა თავის დასარჩობად. ქმარი ნამალევად უკან გამოსდგომია, წამოსწევია საწყალს ტყიანში, რიონის ნაპირად, წაუქცევია უიმისოდაც დაბეჟილი ქალი, ბევრი უცემია კიდევ, მერე კისერში ხელი წაუჭერია და ცოცხალ-მკვდარი გადაუგდია რიონში. გვამი 76 ვერსის მანძილზე ერთ დღეს და ღამეს ეტარებინა მდინარეს და ქუთაისში შეეჩერებინა. ეს საქმე რაჭის გამომძიებელს ბ-ნს ნიჟარაძესა აქვს მინდობილი.

*** წლეულს პეტერბურგს იმართება სამეურნეო გამოფენა. ტფილისის სამეურნეო საზოგადოებას გუშინ მოუვიდა პროგრამა ამ გამოფენისა კავკასიაში გასავრცელებლად. პროგრამაში სწერია, რომ რუსეთის იმპერიის ყოველ ქვეშევრდომს ნება აქვს, წარმოადგინოს თავისი ნაწარმოები ხილეულობისა, ბოსტნეულობისა, ბამბეულობისა, თამბაქოეულობისა და სხ. გამოფენა დაიწყება ამ წლის სექტემბერის 23 და 10 ოქტომბერს გათავდება.

*** საგარეჯო: ვერ იქნა და ვერ მოისპო ჩვენში ქურდ-ბაცაცობა და ტაციობა. ვერც მთავრობამ შეაშინა და ვერც ციხე-ბორკილმა ეს გათამამებული ხალხი. ამ სამის დღის წინად აქ ერთი კაცი ჩავიდა ცხენით იქვე საგარეჯოს ბოლოს მდებარე ყორულში კრამიტის სასყიდლად, ერთი ვიღაც უცხო ადამიანი აედევნა კუდივით და შორი-ახლო დაიწყო სიარული. იმ ღამეს კრამიტის მყიდველს იქ მოუხდა დარჩენა. დარჩა და ამხანაგმა უთხრა, რომ ფრთხილად იყავი, თორემ აის ვიღაც რომ დაიტუზება, ან მოგტაცებს რასმე და ან მოგპარავსო. მართლაც ისე მოუვიდა. მთელი ღამე ისე ათია, რომ თვალი არ მოუხუჭნია. გარიჟრაჟისას, საუბედუროდ, ჩასთვლემოდა რამდენსამე წუთს, გამოეხილა ისევ თვალები, მაგრამ ცხენი გვერდით-კი აღარა ჰყავდა. ცამ ჩაჰყლაპა, თუ მიწამ იმ ერთ წუთში, არავინ იცის, ვეღარც ცხენს დაჰკრეს თვალი და ვეღარც ქურდს.

*** რაჭა: სოფ. წესში ერთმა იმერელმა მოსამსახურე ყმაწვილმა გაუთხოვარმა ქალმა თოკით თავი ჩამოირჩო დილით ბატონების გაღვიძებამდის. მიზეზი ასეთის თავზედ ხელის აღებისა არავინ იცის.

*** ქვემო ნიქოზი: 13 ამ თვისას, საღამოს რვა-ცხრა საათზედ, აქ შემდეგი საზარელი მკვლელობა მოხდა. ილიკო ელუაშვილმა, რომელიც ამას წინად ბუნების წინააღმდეგ დანაშაულისათვის ხერსონის „ისპრავიტელნი როტაში" იყო ორის წლობით გაგზავნილი და სამი თვეც იქმნება, რაც დაბრუნდა, მოჰკლა თავის ახლო ნათესავები, სამი სული ქალი: კეკე ელუაშვილისა, მისი ქალი და შვიდის წლის შვილი-შვილი. თითონ კეკე თუმცა ჯერ ცოცხალია, მაგრამ გადარჩენის

ფელეტონი

წერილი მეგობართან

(დასასრული *)

28 თიბათვეს შევესწარი რატილის ქართულ ხოროს გალობას, უწინ რომ ნემეცების კალონია იყო, იქაურს ბაღში. სწორეთ გითხრა, ძალიან მიამა ეს შემთხვევა. აი ახალი ამბავი ჩემთვის... გამოცხადებული იყო, რომ ქართული ხორო რატილის ლოტბარობით იმღერებსო შემდეგ სიმღერებს: ნანინასა, ვის რა უნდა, რეპასა, გემა, შევკრათ წითელ-წითელი, ჩუხჩუხით ჩამორბოდა, თამარის დროშა, დელი-ოიდა, უკვე მიხმობს, გალიაში რომ გაგზარდე, დილა, კუნჩხა ბედი ბედნიერი და ალსდევ, გმირთ-გმირო. მე ასე მეგონა, რომ ისე მოაწყდება ამ ბაღს ქართველობა, რომ ადგილსაც ვერსად ვიშოვნი-მეთქი, მაგრამ ძალიან შევცდი. ძუნძულით სიარულმა უსაგნოდ ჩამიარა. როგორც თქვენ, ჩემო თადეოზ, არა ბრძანებულხართ იქ, ისე დანარჩენი ქართველები. თეატრში მივიხედ-მოვიხედე და ერთად ერთი თავ დახურული ქართველი ქალი იყო და ორიოდე კაცი, დანარჩენი რუსები იყვნენ. ახადეს ფარდა და დავინახეთ 10 თუ 12 კაცი, ქართულად ქულაჯებით მორთულები, კარგი წამოსადეგნი, კარგად დარბაისლურად მქცევნი და წინ უდგათ ფრაკ-ჩაცმული თვითონ რატილი, ხნიერი, სასიამოვნო შეხედულების კაცი, პატარა ტანისა და სათვალებიანი. მოჰყვნენ სიმღერას და ერთი-ერთმანეთს მიაყოლეს სხვა-და-სხვა ხმა, ქართული, იმერული, მეგრული, კახური და რამდენიმე ევროპიულიც.

პირველი განყოფილება რომ შეასრულეს, გამოვედით ბაღში სასეირნოდ. აირია ხალხი, ზოგი აქებდა, ზოგი აძაგებდა. იმათში ერთი ყმაწვილი კაცი მეტად ცერცვიერით ხტოდა და ყველას იმას ჩასძახოდა, აი, ქულაჯები ჩაუცვამთ და რუსეთში უნდა წავიდნენ და ფრანციზული ხმები იმღერონო. რადგანაც რუსულად ეცვა და რუსულად ლაპარაკობდა, არ ვიცი ვინა ბრძანდებოდა და რის თქმა უნდოდა ამ სიტყვებით?

თუ ისა სწყინდა, რომ ქართულის ტანისამოსის მქონეთ ფრანციზულის ხმების მღერა არ შეშვენით, აქ ტანისამოსს რა მნიშვნელობა აქვს? რა უჭირსთ, სლავიანსკის ხოროს მგალობელთ რომ პადიოვკები აცვიათ და ევროპიულს ხმებსა მღერიან? რა არის აქ ცუდი? თუ იმ გაცხარებულს ყმაწვილ კაცს ქართული ხმები უფრო უყვარს სხვა ხმებზე და ის აწუხებდა, რომ ამ სიამოვნებას რად მოაკლო ქართულმა ხორომა, ესეც დიდი უსამართლობაა, იმიტომ-რომ რატილის ხოროს ქართველები სულ არ ეტანებიან და იმათის იმედით რომ დარჩნენ, შიმშილით დაიხოცებიან ეს მომღერალნი და, არამც თუ რუსეთში, ვგონებ მცხეთამდისაც ვერ მიაღწიონ; მეორე ისა, რომ ევროპიული ხმები, რომელსაც ესენი მშვენივრად მღერიან, განა ქართველებს-კი გულს დასძმარავს, რომ გაიგონონ; მესამე ისა, რომ მარტო ორიოველას სიმღერითა და დელა-ოიდასით განა წინ წავდგებით და კარგის, რისამე გემოს გავიგებთ? მეოთხე ისა, რომ ხომ ჰხედავს ის დალოცვილი ამ არეულ-დარეულ ხალხს, სიმღერები როგორღა გადარჩება შეურეველი? თეატრში იყო მეტად ძალიან ცოტა ხალხი, მაგრამ ეს ცოტა ხალხიც შერეული იყო; იქ იყვნენ ძალიან ცოტა ქართველები, ბლომად რუსები, ნემეცები და ფრანცუზებიც, რა დააშავა ხორომ, რომ ყოველ გვარი ხმები იმღერა, ყველას მიაგონა თავისი სასიამოვნო სიმღერა? ამ შემთხვევაში ისიც არის შესანიშნავი და სასიამოვნო, რომ რატილის ხორო ევროპიულს ხმებს ქართულის სიტყვებითა მღერის და, როგორც შევნიშნე, სიმღერები კარგადაც არის ნათარგმნი.

სწორედ ასე ფიცხობდნენ ქართველები მაშინაც, როდესაც ცხონებულმა გიორგი ერისთავმა ქართული თეატრი გამართა. ყველას როგორღაც ეჩოთირებოდა, რაღაც უკმაყოფილებასა გრძნობდა, მაგრამ ვერ გამოეკვლიათ-კი რაში მდგომარეობდა ეს უკმაყოფილება, და ზოგი ალთას იძახდა, ზოგი ბალთას. ბოლოს შეეჩვივნენ და მგონია არც ერთს ხალხს არ შეუთვისებია ისე თეატრი, როგორც ქართველებს.

როგორც გიორგი ერისთავია დამაარსებელი ქართულის თეატრის, ვინ იცის, იქნება ბატონი რატილი შეიქმნეს დამაარსებელი ქართულის ოპერისა. ჩემო თადეოზ, მე იმ კონცერტზედ ქართულის ოპერის სული მომედინა, ვინ იცის რამდენმა სხვა და სხვა ნაირმა ფიქრმა და ოცნებამ გაირბინა ჩემს ტვინში, როდესაც ყურს ვუგდებდი რატილის ხოროს სიმღერას. იქნება დადგეს ისეთი დრო, რომ ქართულ ენაზედაც დაიწეროს ოპერის მსგავსი რამ ჩვენის ძველ მატიანედგან და რატილის შთამომავლებმა მომღერლებმა ჩაგვიღიღინონ რამ თამარ-მეფის ცხოვრებიდგან, ან გიორგი სააკაძის მიერ მოქმედებიდგან?..

დავუბრუნდეთ ისევ რატილის ხოროს სიმღერებს. იმის კონცერტი შემდეგაცა ვნახე ქალაქს გარეთ სამჯერ; მაშასადამე სულ ოთხჯერ მოვისმინე ახლად შემდგარ ხოროს სიმღერა. ზემოდ მოხსენებულ ხმებს გარდა, მოვისმინე: გაელესოთ, ძმებო, ნამგალი; კაცი ის არის; ჯვირი-ჯვირიშა; ორითავ თვალის სინათლევ; ვინა სთქვა საქართველოზე; მოდი, ჩემო კალამო; თვალის ჩინო, გულიხავ; ვის რა უნდა (ჩეხური სიმღერა); მაღლა ცაზედ; ფაცხა, აღარ მწადიან ცხვარშია; გლესავთ და გლესავთ, ნამგალო; სამშობლო (შკრაუპის თქმული), ლაჟვარდს ცაზე (ტოვაჩევსკის ნათქვამი) მუმლი მუხასა და სხვ.

ამათში, ჩემდა სამწუხაროდ, არ ერია არც ერთი ისეთი ხმა, რომ გამეგონოს სადმე და მცოდნოდეს, ორთავ თვალის სინათლეს გარდა. სულ პირველი გაგონება იყო ამ ხმებისა. მომეტებული ხმები იმერული, მეგრულია, გურული და კახური, და ქართული-კი არ ვიცი რომელია, ვერავინ ვერ გამომირკვია.

ორიოდე ქართველს კაცსა ვკითხე, როგორ მოგწონთ-მეთქი ხოროს სიმღერა და იმათ ერთ-ხმად სთქვეს, რომ ძალიან კარგად, წყობითა მღერიან, მაგრამ ჩვენებური-კი არ არის, თუმცა ჰგავსო.

---

*) იხ. „ივერია" № 178.

იმედი კი არავისა აქვს. ესენი სტუმრად იყვნენ ჩამომხტარნი მღვდელ დავით კაპანაძის სახლში, აქ მიეპრა მამულის თაობაზედ დავით კაპანაძისავე ბიძაშვილი ილიკო ელუაშვილი და დახოცა იმ ოთახში, სადაც ამ სამის წლის წინად თავი ჩამოირჩო დავით კაპანაძის ცოლის დისწულმა გასათხოვარმა ქალმა. გადარჩა მხოლოდ 10 თთვის ვაჟი, კეკეს შვილიშვილი, რომელიც ამ შემაძრწუნებელის მკვლელობის დროს თავის დიდედას ბალიშებს ქვეშ დაემალა. ეს საცოდავიც ბევრი ეძებნა ავაზაკს, მაგრამ ვერ ეპოვნა. როცა ორი სული დაეხოცა, შვიდის წლის ქალი ტახტ ქვეშ შემძვრალიყო, შიშით, მაგრამ მკვლელს გამოეთრია ფეხებით და ისიც სხვებზედ დაეკლა. მთელი ოთახი სავსე იყო სისხლითა და დაჭრილებიც შიგა სცურავდნენ. მეორე დღეს ილიკო ელუაშვილი ჩასულა გორში ჯერ დუქნებში დამთვრალა და მერე გამოუცხადებია პოლიციისთვის, რომ ოთხი სული მოვკალიო. კიდევ ბევრს დაჰმუქრებია აქაურებს, მაინც ციმბირში მირჩევნიანო და ვისიც ჯავრი მჭირს, იმათაც დავხოცავ და ისე წავალო. აქ ძალიან ჰშიშობენ, რომ თავდებობით არ გამოუშვან და კიდევ უბედურება არა დაატრიალოს-რაო.

⁂ „მშაკი“ ამბობს, რომ ტფილისიდგან კოჯორამდე რკინის გზის გაყვანის პროექტი უკვე შეადგინეს და მალე დასამტკიცებლად წარდგენილ იქნებაო. ამ საქმისათვის საჭირო ხარჯის—300,000 მან. საშოვნელად ახალი სააქციონერო საზოგადოება უნდა დაარსდეს და იმათ იკისრონო. გზა დაიწყება ამაღლების ქუჩიდგან, ოქროყანამდის მავთულებით იქნება გაყვანილი, იმას იქით-კი რელსები უნდა დააწყონ. სადგური იქნება მანგლისის გზისა და კოჯორის გზის შესართავთან, აწინდელს საინჟინერო სახლშიო.

⁂ «С.-Петер. Вѣд.» სწერს, «მთავრობას ჰსურს დიდი ცვლილებანი შემოიღოს ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის მართვასა და გამგეობაში. მთავრობას განზრახვა აქვს ამიერ-კავკასიის მართვა ისეთის წესითა და რიგით წაიყვანოს, რა წესი და რიგიც სხვა საგენერალ-გუბერნატორო ოლქებშია. ამასთანავე მოისპობა ის უპირატესობაც, რომელიც ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა დაწესებულების მოხელეებსა აქვს მინიჭებული. ამას გარდა შემცირდება იმ მოხელეთა რიცხვი, რომელნიც მაჰმადიანებში მსახურებენ, რადგანაც ამ ჟამად გაცილებით მეტია საჭიროზე. ამიერ-კავკასიაშიც და თურქესტანშიაც ადრევ გაუქმებული იყო ადგილობრივ საადმინისტრაციო მოხელეთა თანამდებობანი. ეხლა ეს თანამდებობანი ისევ უნდა შემოიღონ. ამ ორს ოლქში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლა-განათლების საქმეს და რაც შეიძლება მეტი საშუალო და დაბალი სასწავლებელი უნდა დაიმართოს. ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, სადაც სახაზინო მამულებს თითქმის ზარალის მეტი არა მოაქვთრა, ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ მცხოვრებთ შეძლების გაუმჯობესობას, რომ ამ გვარად ახალს გადმოსახლებულებს ცხოვრება არ გაუჭირდეთ ყურადღება ექნება მიქცეული იმასაც, რომ რაც შეიძლება მალე გათავდეს მამულების გამიჯვნის საქმე.

⁂ გაზ. „Кубан. Вѣд.“-ში № 29-ში სწერია: არქეოლოგიურის ნაშთებით ანაპამ ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას. ანაპის გარეშემო მრავალი თომარია*) ამ თომრებში არქეოლოგებმა სხვა-და-სხვა დროს მრავალი ძველის-ძველის დროის ნივთი იპოვეს, უმეტესად იმ დროისა, რომელსაც რომის ეპოქას უწოდებენ. უმეტესი ნაწილი ამ ნივთებისა ინახება პეტერბურგის მუზეიში; აგრეთვე მრავალი ნივთი შეკრებილია ყუბანის ოლქის მუზეიში. ამ უკანასკნელში აგრეთვე შენახულია დედაკაცის ანდალმა, უბრალო ქვისაგან გამოკვეთილი და მარმარილოს ფიცარი, რომელზედაც ლამაზი წარწერაა აღმოსავლეთის ენაზე. სამწუხაროდ, გაზეთში არ არის მოყვანილი წარწერის შინაარსი და არც ის არის ნათქვამი, თუ სახელდობრ რომელია ეს აღმოსავლეთის ენა. ავტორი ამბობს, რომ დღესაც ანაპის არე მარეში მრავალი თომარია ჯერ სრულიად ხელ-უხლებიო. არქეოლოგიურ ნაშთთა სიმრავლე იმითიცა სჩანს, რომ ეზოებში, სარდაფებისა და ჭების ამოთხრის დროს, ბევრსა ჰპოულობენ კაცის, ქალის ძვალსა და აგრეთვე ძველს ფულსაო.

⁂ ამ თთვის 18, მადათოვის ქუჩაზე, თ. ორბელიანის სახლში მცხოვრებელმა მეორე გილდის ვაჭარმა ხაიმ გერმანმა გამოაცხადა, რომ ფულის რკინის ყუთიდგან, რომელიც საწოლ ოთახში მედგა, შერჩეულის გასაღებით სხვა და-სხვა დროს მომპარეს ბრილიანტისა, ოქროსა და ვერცხლის ნივთეულობა, ღირებული 1375 მანეთადაო. ეჭვი ჯერ არავისზე არ გამოუცხადებია.

⁂ ამავე დღეს, ნაშუადღევის სამს საათზე, მეეტლემ სპირიდონ კვიკვიძემ ლონდონის სასტუმროს პირდაპირ ეტლი დააჯახა ტფილისის მცხოვრებელის ტერ-მალიანცის ფურგუნს და ცხენი წაუქცია. ცხენი მოკვდა. დამნაშავე პასუხის-გებაშია მიცემული.

⁂ ამავ დღესვე, ღამის სამს საათზე, ცხენის რკინის გზის კონდუქტორმა კონსტანტინე ნიკოლაევმა მოიყვანა ტფილისის რკინის გზის სადგურის ტელეგრაფისტი ყარამან კაჩაროვი და გამოაცხადა, რომ ეს კაცი მომვარდა მახეილის ქუჩაზე და ჩემი მოკვლა უნდოდაო. კაჩაროვი შეიპყრეს.

⁂ აგვისტოს 18, ეკკლესიის ქუჩაზე, კოლლეჟსკი სოვეტნიკის ვლადიმერ უსოლცოვის სადგურის დაუკეტავის ფანჯრიდგან მოიპარეს ოქროს საათი თავის ძეწკვით, ოქროსავე ჰერანგის ფოლაქები და სხვა-და-სხვა ნივთეულობა, სულ 269 მან. ღირებული. ეჭვი ჯერ არავისზე არ გამოუცხადებია.

---

*) Курганъ.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბათუმი ახალი ქალაქია და დიდხანსაც აგრე ახლად დარჩება, რადგანაც დღითი-დღე იზრდება, დიდდება და ფერს იცვლის. საიდგან, რომელი მხრიდგანა და სახელმწიფოდგან არ ეტანებიან ამ ქალაქს ათასობით სულ ახალ-ახალი მცხოვრები, რომლებიც ათასნაირ საქმეს იწყებენ აქ და აკეთებენ. ქალაქის შიგადაშიგ ცალიერ ადგილებს ავსებენ შენობებითა და ქალაქის განაპირ ადგილებშიაც ჭაობებს აშრობენ, ჩირგვებსა სწმენდენ და სახლდებიან. ძველებურს მიძინებულს, მიყუჩებულსა და დაწყნარებულს ბათუმს სრულიადაც არა ჰგავს ეს ახალი გაცოცხლებული, მოძრავი და მომუშავე ბათუმი, სადაც ერთად არის არეული ხომალდებისა, ქარხნებისა, ხმელეთითა და ზღვით მატარებელთა სტვენა-კივილი და გრიალ-ხრიალი. ასე ძლიერ ეტანებიან ბათუმს არა მისი ჭკვის გულისათვის, რომელიც სრულიადაც სახარბიელო არ არის, არც მოხელეობის წყურვილით, რაც ჯერ-ჯერობით ისეთ წარმატებაში არ არის შესული, როგორც, მაგალითად, ქუთაისში და ტფილისში, სადაც ყველანი ნასწავლიცა და უსწავლელნიც, ბიუროკრატიის ერთგულნი ყმანი არიან. ტფილისს კერძოდ იმითი უჩნდა თავი ამ ბოლოს დროს, რომ მანდმარში ძალიან გამრავლებულა სასტუმროები და ყავახან-ლუდხანები. ერთის სიტყვით, ყველაფერი მუცლის საქმედ გადაქცეულა. შჩედრინის ღენერლებისა არ იყოს, ტფილელნი სცა-კი გაქანებიან, სასმელ-საჭმელში წაჭყობენ ცხვირს. ამას გარეშე ყოველი ზრუნვა შეჩერებულია, ბათუმს კი ამისთანებისათვის არ სცალიან. იგი ხალხს თავის ვაჭრობისათვის გამოსადეგი ზღვის-პირს მდებარეობით იზიდავს. ბათუმი ვაჭრობა-მრეწველობისა და ქარხნების ქალაქია და იმის მცხოვრებთა უმეტესობაც მოვაჭრე ხალხია. ეს კომერციის მიმდევარი ხალხი მკვიდრად ფეხ-მოკიდებულნი არიან ბათუმში. დღეს რომ მილეთ ხალხს ჰხედავთ ამ ქალაქში, ხვალ ის ხალხი სადღაც მიემგზავრება და იმის ნაცვლად სულ სხვა მოდის, ზეგ კიდევ სხვა. ეს გარემოება დიდად უშლის ხელს ქალაქის გაუმჯობესობას და წინსვლას. ეს ქალაქი ერთს შარა გზას წარმოადგენს, რომელსაც ყველანი სტკეპნიან და ზედ-კი არას აგდებენ. გულ-დადებულსა და ქალაქის მომავალზედ მზრუნველს ცოტას შეხვდებით აქ. ეს რომ ასე არ იყოს და ამდენი „ლიანგი“ ხალხი ბათუმს სულითა და გულით ეკუთნოდეს, მაშინ საცოდავი სამკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი-კი არა, გიმნაზიაც ვერ დააკმაყოფილებდა ბათუმელთა სწავლის მოთხოვნილებას; მაშინ არა ერთი და ორი სატეხნიკო სახელოსნო და სანავოსნო სასწავლებელი გაიმართებოდა აქ, და დღეს რომ წიგნების ხსენებაც არ არის, მაშინ რამდენიმე წიგნთ-საცავიც არ იკმარებდა.

ქართველობა ბათუმშიაც უცხო სტუმრებს დაემგვანებია და უცხონი, ცის-კიდიდგან მოსულნი-კი—მასპინძლებს. ვერც დიდს სახლის პატრონს და ვერც დიდის საქმის მიმდევარს ქართველს ბათუმში ვერ შეხვდებით, თუმცა რიცხვით ქართველები სხვებზედ მეტნი არიან. უბინაონი და ულუკმონი ამ მოსულ სხვებს ემსახურებიან და ფეხ-ქვეშ ეგებიან, რომ ორიოდე გროში მოწყალებასავით მიუგდონ დღიურის ლუკმის მოსაპოვებლად. ქართველების ბუნებას თითქმის შესთვისებია ის მწარე ჩვეულება, რომ ცხოვრებაში თითონ ხელ-ქვეითობა გასწიონ და სხვებს უნდა შესთხოვდნენ ყველაფერს, თორემ ბათუმში, ამ ქართველებით გარშემოსახლებულს ქალაქში, რატომ ქართველობაც არ გაჰხდა ამდენის მიწის, შენობების და მრეწველობა-წარმოების პატრონი?! ემიხედეთ და ჰპოვებთ... დიახ, ქალაქი ბათუმიც მაძიებელთ ჩავარდა ხელში და კიდეც სწოვენ წვენს. ვისაც შენა ეზარება, ისინი პირ-დაღებულნი და ჯან-გაწყვეტილები დაღოღავენ, ვითომ-და ეძებენ რაღა! მერე რას ჰპოულობენ? ორ-გროშიან დღიურ მუშის საქმეს აქაურ რომელსამე ნავთის ქარხანაში, სადაც სულითაცა და ხორცითაც სამუდამოდ მახინჯდებიან და არცა-რას ცალიერ ჯიბეს ჰმატებენ. აქაურ ქარხნებში უზომოდაც მუშაობენ მუშები და ბევრსაც აკეთებენ, მაგრამ არა თავისთვის, არამედ სხვების, დიდის საქმის და ფულის პატრონთა სასარგებლოდ. თითონ მშრომელთ და მწარმოებელთ თავისის შრომისა რაღაცა ნამირალი რჩებათ.

მართლადაც, ძალიან კარგად დაათამაშეს ჩემმა ოპერის მეზობლებმა რატილის შრომა. ყველაფერს შეჩვევა უნდა, მესამედ და მეოთხედ ნახვაზედ უფრო მომეწონა ამათი სიმღერა, ვიდრე პირველად. ეს უეჭველად იმას ამტკიცებს, რომ ხორო კარგად არის შედგენილი და მიმხვედრან წყობილს სიმღერას. მეტადრე ევროპიულს ხმებს მშვენივრად მღერიან, იმიტომ რომ ჯერ თითონ ხმები არის კარგად შედგენილი და მერედ რატილმაც ზედ-მიწევნით იცის ეს ხმები. რაც შეიძლება ევროპიელის ყურისათვის, რატილს კიდევაც კარგად შეუთვისებია ჩვენებური სიმღერები. ეს მითვისება უცხო ხალხის ხმებისა ადვილი ნურავის ეგონება. ერთმა მომღერალმა ქალმა, გვარად ფაბიანმა, მიამბო, რომ მილანში ორჯელ წარმოადგინეს რუსული ოპერა „სიცოცხლე ხელმწიფისათვის“, მაგრამ სრულიად ვერ მოახერხეს და მეორედ წარმოდგენაზე სტვენით აიკლო ხალხმა მილანის თეატრიო. თუმცა ეს ოპერა ნოტებზე არის დაწყობილი და მაშასადამე, წაკითხვა ყოველ ევროპიელს შეუძლიან, მაგრამ რუსულ კილოს მაინც ვერ მიხვდნენ იტალიელები და ეს ოპერა ვერ წარმოადგინეს, რადგანაც იტალიის სიმღერის ან-ბანი და რუსულისა სულ სხვა-და-სხვაა. აგრეთვე იტალიანური ოპერები რუსეთში, ვისაც ყური არა აქვს შეჩვეული, არ მოსწონთ, არ ესმით, ისე როგორც იტალიანელებს რუსული ოპერა არ მოსწონებიათ.

ამაზე მომაგონდა ერთი ჩემი ამხანაგი რუსი. როდესაც ქალაქში იტალიანური ოპერა გამართეს და ხალხი შეეჩვია, იმ ჩემს ამხანაგსაც გაგიჟებით მოსწონდა იტალიანური ოპერა და უნდოდა, რომ ეს სიამოვნება ეწილადებინა თავისი მოხუცებული დედმამისათვის, ჩააცვედა და ძლივ-ძლიობით მოიყვანა თეატრში, ჩასხა ლოჟაში და გულში უხაროდა, რომ ამისთანა ბედნიერებას ეღირსნენ იმისი საყვარელი მშობლები. უგდეს, უგდეს ყური, ძლივს-ძლიობით პირველი მოქმედება გაატარეს და მერე, როცა გათავდა ეს მოქმედება, გაჯავრებულმა მამამ შეჰყვირა შვილს: „ვიტია, პაიდომ დამოი, ჩტო ანი, კაკ სვინი პოდ ზაბორომ პისჩატ.“ (ვიტია, წავიდეთ შინ, რას ჰყვირიან, როგორც ღორები ღობეს ქვეშაო). ასე გააბიაბრუეს განათლებული შვილი ხურმის უმეცრებმა.

აკი მოგახსენებ, ჩემო თადეოზ, დაჩვევა არის ყველაფერი. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, იტყვიან ხოლმე ჩვენები. მე მიკვირს კიდეც, რომ რატილს ამისთანა ძნელის საქმისათვის მოუკიდნია ხელი და ზოგიერთი ყაიდები შეუთვისებია. დაგარწმუნებ, რომ «ორთავ თვალის სინათლევ» ისე კარგად იმღერა თითონ რატილმა, რომ ხელის ტკრციალით თეატრი აიკლეს.

ამავე დროსა მომიახლოვდა ერთი ჩეხი, გვარად კინდლი, რომელიც ძალიან გვარიანი მემუსიკეა, და მეუბნება: „ყურთა სმენად გადვიქეცი და ამ თქვენებურის სიმღერისა-კი ვერა გავიგე-რა, ვერცარა დავიხსომე-რა, ვერც ის გავარჩიე, სადა თავდება ერთი ხმა და სად იწყება მეორე. ერთის სიტყვით, ეს მეორეთ მოედივარ და ვერაფერი ვერა გავიგე-რაო.

ყოჩაღ, რატილ, რომ ამ ძნელის საქმისა არ შეშინებია და საქმე საქმეზედ მოჰყავს. მერე ვინა ჰყავს ხოროში, სულ ყმაწვილი ხალხი, რომელთაც, ვინ იცის, იქნება კეთილ წყობილი სიმღერა არც-კი გაეგონათ. სასაცილო ხალხნი ვართ, ჩვენი არა მოგვეწონს-რა, არც სიმღერა, არც ჩაცმა, არც დახურვა, არც დარბაისლობა, არც ენა, სულ სხვებისას ვეტანებით და ჩვენი სწავლა და თვისება დამპალ-გნილოთ გამოდის და რადგანაც ბუნების მონიჭებულ თვისებას ვერ ვიცვლით, ამისათვის ვერც აქეთა ვართ, ვერც იქით. სხვა უჩვენო რატილისთანა ადამიანს ხელს მოუწყობდა და იმის წადილსა და ცოდნას სარგოიანად მოიხმარებდა. ყოველი ჰკვიანი კაცი, თავისის თავის მოყვარე ნაშურის ახალუხზე ლილებ-გახსნილ სერთუკს არ ჩაიცვამს და იმავე დროს თავზე ფაფანაკს არ წამოიდებს, მაგრამ რაღაც მახინჯობა დაგვეჩემდა და მზადა ვართ, რომ ოსმალურად სარტყელი თავზე შემოვიხვიოთ და ამითი მოგვეწონდეს თავი, ამასთან, ქართულს სიმღერებში ევროპიული ხმები რად აურიესო, ის-კი გვწყინს, ან ქულაჯა რადგანაც ჩაიცვეს, ფრანციზულს რომანსებს რაღადა მღერიანო, ამაზედაც ძალიან წიწმატობენ. სათიატრო ხალხს მარტო „მუმლი მუხასა“ ვერ დააკმაყოფილებს, იმისათვის უთუოდ საჭიროა ახალი რაიმე კარგი სიმღერაც. რაც ძალზე გადათხლეშილს ქორწილში სიმღერა მოეწონება, იმავე ადამიანს თეატრში უფრო სხვა ნაირი ყურის დასაამელი ხმა უნდა. ამისათვის არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენმა ქორიძეებმა, მიდუმებულ და მძინარეთ, თავი წაართვან ტკბილს ძილსა, ქართულს ჰანგზე დააწყონ რომელიმე საუკეთესო ხმები და მით ასიამოვნონ თავის მშობელს ქვეყანას. რატილთან-კი რა სამღურავი გვმართებს, დიდის მადლობის ღირსია როგორც რატილი, ისე იმისი პატარა ხოროც, რომელსაც ასე კარგად შეუთვისებია კეთილ-ხმოვანება, ასე რომ ერთი მათგანი ფალიაშვილი, ერთ-ხმადაც ჰმღერის. ეს ცოტაა? მაშ თუ კმაყოფილი არა ხართ, მოიწვიეთ ქართველის ტომის ხალხი, რომელნიც ამდენს ფულს ჰხარჯვენ მუსიკის სწავლისათვის, გააღვიძეთ ქორიძე, რომელსაც თავი ღრმა ძილისათვის მიუცია, და ან სხვა ვინმე, ვისაც იცნობდეთ და ვისიც იმედი გქონდეთ ესენი, როგორც ნამდვილი ქართველი ხალხი, ოროველასა და ნანინას თქმასა და გაგონებაში აღზრდილნი დააწყობენ ნოტებზე იმ ხმებს, რომელიც რატილის ხოროში არ მოგწონთ. კარგი არ გვებადიანო და ავი არ გვაკადრიანო, ამაზეა ნათქვამი ჩემო თადეოზ. ქართველის კაცისათვის წითელი ღვინო გაუჩენია ღმერთს გადალლევს და მოჰყვება ღრიალს. ეს არის იმისი ოპერაცა და ბაიათიც. არა და ბანქოს თამაშობას ხომ სულ წაუღია, ამაში უნდა ამოირთვას სული. რად უნდა ან გაზეთი, ან თეატრი, ან წიგნი და ან სწავლა. ღვინისა, გარყვნილობისა და ქაღალდის სათამაშო ფულს ყოველთვის ვშოულობთ და ადამიანურის შექცევისათვის-კი არა მოგვეძევება-რა.

ასე, ჩემო თადეოზ... შენ მგონი კითხულობ და გიკვირს, რას ამბობს ეს კაციო!..

შენი სფირიდონ ჩიტორელიძე

ძაუჯი-ყაუ

ფული ხომ საზოგადოდ საშიშარი და უდიერი მებატონეა ყველა ხელ-მოკლე და თავის მკლავ-ღონეზედ დანდობილ ადამიანისათვის, რომელსაც სისხლსა და ხორცს სწოვს, უბრალო მანქანად ჰხდის, ყველაფერს აკუთვნინებს მარტო იმიტომ, რომ თითონ იზრდებოდეს და სივდებოდეს იმის გამზრდელ ხელ-მოკლე კაცის უფრო მეტად გასაუბედურებლად და დასამონავებლად. ასეა ბათუმშიაც, სადაც დიდის ფულის პატრონები ოსტატურად ატრიალებენ თავიანთ ფარ-ხმალს.

რუსეთის ყოველ ქალაქის ქარხნებში რაიმე რიგი და წესი ჰსუფევს სამუშაო დროისა, ხელფასისა, მუშათა წლოვანებისა და საზოგადოდ მუშათა მდგომარეობის შესახებ. ბათუმში ასეთი წესი და რიგი ქარხნის პატრონის ჟიუტობაზეა დამოკიდებული. აქაურს ქარხნებში მომუშავენი მეტის-მეტად ცუდსა და მავნებელს გარემოებაში იმყოფებიან სანიტარულადაცა და ზნეობრივადაც. აქ მუშა მოკლებულია ყველაფერს, რაც-კი ადამიანურად ცხოვრებისათვის საჭიროა: მოსვენებას, ძილს, სუფთა ჰაერს, საჭირო სახლს და სამოსელს და სულისა და გულის, ადამიანობის შეუბღალავლობასა და შეულახველობას. ერთს აშმორებულს და დანესტიანებულს ოთახში შეჯგუფულა 10—15 მუშა და ქუამლებათ სისხლი უჭკეროდ, ავადმყოფდებიან, სნეულდებიან. იმათი საზრდო ხმელი პურია და ის ხომ დიდი ბედნიერებაა, თუ ათაში ერთხელ ამ საზრდოს მჟავე კიტრსაც შეაყოლებენ.

ყველა ამას თავისი ბეჭედიც მაგრად დაუსვამს ბათუმელს მუშათათვის. როცა შუადღისას შესასვენებლად გარედ უშვებენ მუშებს, გამოიფინებიან ქუჩაში და დაეშვებიან ხოლმე დედამიწაზედ პურის შესაჭმელად, მაშინ რომ ამ გროვას თვალი გადაავლოთ, ასე გეგონებათ, მიხრწნილი ავადმყოფები გამორეკეს საავადმყოფოდგანაო. სუყველას სახე დაჭყვითლებია და დასჭკნობია, თვალები ჩასცვენია და წელში მოხრილა, მოწყვეტილა. თუ ვისმე ამდენს ხალხში ერთს და ორს ფერ-ხორციან შეჰხვდით ვისმე, ესენი გუშინდელი შესულები არიან და ქარხის გემო ჯერ არა აქვთ გაღებული.

წარმოიდგინეთ, მუშაობა დილის ექვს საათზე იწყება და საღამოს ექვს საათზედ თავდება. საღამოს იწყება ხელ ახალი მუშაობა მეორე რიგის მუშებისა და დილის ექვს საათზედ თავდება. ამ რიგად მიდის მუშაობა კვირა უქმე დღესაც. აქ უქმე არ იციან. მუშები მუდამ ერთ ალაგას ფეხ-მდგომარე მუშაობენ და თვალის დახამხამებასაც თავისუფლად ვერ ახერხებენ, მუშებს თავზედ უფროსები ადგანან, „რომლებიც მეტის-მეტად მკაცრად ეპყრობიან თავის თანაშემწეებს. ერთი რომ შეჩერებული დაინახონ ვინმე, თუგინდ მოჭრილი თითისაც იხვევდეს, ერთ კაი კვლახს დააწევენ და გალანძღვ-გაათრევენ. ხელფასს სამაგიეროდ იღებენ 70—100 კ. და რადგანაც ასეთი ქირა მუშას არა ყოფნის, ამიტომ ზოგი მათგანი ხშირად დღისითაც მუშაობს და ღამითაც. ძილ მორეული მუშები ბარბაცობენ და თან ხელებსაც აფათურებენ, რა არის უფროსებს აჩვენონ, ვმუშაობთ, და აიცდინონ თავიდგან უსიამოვნება. ასეთი მთვლემარე მუშებს-კი წინ უტრიალებს გაალმასებული მანქანა, რომელსაც ხშირად ფიცართან ერთად მუშა თავის ხუთს თითსაც შეატანს ხოლმე. დღე არ გავა ისე, რომ ერთი ან ორი მუშა არ დაშავდეს, არ მოეკვეთოს ან ხელი, ან ფეხი და ან სხვა რომელიმე ასო სხეულისა. დაშავებულს ხომ პანღურის ცემით გამოაგდებენ უმოწყალოდ, ვითარცა უვარგისა და ძველს ნივთსა. დაშავებას მუშებისას კიდევ ის გარემოება უმრავლებს ხელს, რომ ახლად შესულ ხამ მუშას ძნელ სამუშაოზედ აყენებენ და ვისაც ხელი შეჩვეული აქვს, იმათ ითხოვენ, რადგან საკადრისი ქირა არ ემეტებათ. ყველაზედ უფრო შემაძრწუნებელი ის არის, რომ მცირე წლოვანთა დაქირავებას უფრო ეტანებიან, რადგანაც ისინი უფრო ხელ ცქვიტად მუშაობენ, ხელ-ფასიც მცირე ეძლევათ 40—45 კ. დღეში და უფრო მორჩილნიც არიან დიდებზედ. 8—10 წლისანი დიდებთან ერთად მუშაობენ და ერთ გვარს უღელში არიან შებმულნი და ეწევიან მთელი დღე და მთელი ღამე. მოზარდი ადამიანი ნაზარდზედ უფრო მეტს დასვენება-ძილს ითხოვს, მაგრამ ამის გამრჩევი აქ არავინ არის. ზნეობრივ მხარეს ნუღარ იკითხავთ. ისეც ადვილად წარმოსადგენია, რაც იქნება იქ, სადაც ამდენი სხვა-და-სხვა რჯულისა, ეროვნებისა და ზნე-ჩვეულების ხალხია არეული. ლანძღვა-გინებასა და უწმაწურობას თვით ზედამხედველები ასწავლიან მუშებს. საკვირველია, რატომ ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს ამ საქმეს, რატომ დახაგრულთ არ ესარჩლება? კვირა დღე მაინც აღარ უნდა იყვნენ მოსვენებულნი, რომ ყველაფერს მოკლებულმა, ღმერთი მაინც ახსენონ?!.

ლეო

◆◆

რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს, მოურიგდეს საფრანგეთისა და იტალიის მთავრობას იმ ღონის-ძიებათა შესახებ, რომ რუსულ ხორბლის შეტანა ამ ორ სახელმწიფოში უფრო გაადვილდეს და გაძლიერდეს. ამ ჟამად მომეტებული ნაწილი ფრანგულ-იტალიურ სავაჭრო საქონლისა გერმანელ კომისიონერების შუამავლობით მოდის რუსეთში და ტყუილ უბრალოდ ხარკი ჰხდება ამ კომისიონერთა სასარგებლოდ. ამის გამო სამინისტროს განუზრახავს, ზოგიერთი შეღავათი და უპირატესობა მისცეს რუსეთში შემოსატან ფრანგულ-იტალიურს სავაჭრო საქონელსა და ამის მაგიერ დაავალოს ამ ორ სახელმწიფოს მთავრობას, რომ იმათაც თავის მხრით გადასახადი მოუმატონ და შეაფერხონ თავიანთ ქვეყნებში ინდოეთიდგან პურის შეტანა.

— ფინანსთა სამინისტრო აპირობს იმის დაკანონებას, რომ ფინლიანდიის ნავთ-სადგურებში ერთ ნაირი გადასახადი გამოერთვას რუსეთისა და ფინლიანდიის გემებს. ამ ჟამად ფინლიანდელები ერთი-ექვსად ნაკლებს გარდასახადს იხდიან თავიანთ გემებზე, ვიდრე რუსეთის გემები. იგივე სამინისტრო აპირობს, შემოიღოს რუსეთის ნავთ-სადგურებში საკლასიფიკაციო საბჭოები. ამ ნაირი საბჭოები უცხო სახელმწიფოთა ნავთ-სადგურებში დიდი ხანია არსებობს, მაგრამ რუსეთში-კი ჯერ-ჯერობით არ არის. ამიტომ, როდესაც რუსეთის გემები უცხო სახელმწიფოების ნავთსადგურებში მიდიან, იძულებული არიან საკლასო მოწმობა, ე. ი. იმის მოწმობა, თუ რით არის დატვირთული, იქავე აიღონ. ამ ახლად დაწესებულს საბჭოებს დაევალება, დრო გამოშვებით დაათვალიერონ და გასინჯონ ხოლმე გემები, ხომ არ წამხდარან და ან რაიმე ზიანი ხომ არა მოსვლიათ-რაო. გემების აშენების საქმეც ამ საბჭოებსვე უნდა დაექვემდებაროს.

— ერთი ბირჟაზე მოღვაწეთაგანი ურჩევს მთავრობას, ბრძანება გასცეს, რომ ყოველს კერძო ბანკის წარწერაზე აღნიშნული იყოს, ვისი საკუთრებაა და ვინა ჰმუშაობს შიგაო. ეს ღონის ძიება იმიტომ არის საჭიროვო, რომ ბევრჯელ წარწერა კაცს ატყუებს, ასე ჰგონია რუსისაა ეს ბანკი და ებრაელისა-კი გამოდისო. ებრაელები რუსების მამულის-მოყვარეობითა სარგებლობენ და ჯიბეს ივსებენო.

— აი რა სასაცილო ამბავი მომხდარა ქალაქ გოროდინში. ერთს გლეხს ჩიტები უქამდნენ სელს და იმათ მოსაგერებლად საფრთხობელა გააკეთა თურმე კაცის მინაგვარად. მისულა ვიღაც ოხუნჯი და ეს საფრთხობელა იმ ხეივნის მახლობლად ჩამოუკიდნია, სადაც საღამ-საღამოობით ახალგაზდობა გამოდის თურმე სასეირნოდ. დაბინდებულა თუ არა, ხალხიც გამოსულა ამ ხეივანში და, როცა საფრთხობელა შეუნიშნავთ, ჰგონებიათ, კაცს ჩამოუხრჩვია თავიო. შექმნილა ერთი წივილ-კივილი ქალებისა და დიდი ვაი-ვაგლახი ამტყდარა, ჩამოუხსნიათ ეს ვითომ-და დამხრჩვალი კაცი და წამოუღიათ აქეთ, რომ პოლიცია მოეწვიათ და შეემოწმებინათ, ვინ არის ეს ცოდვის მქნელიო. ხალხს ჩამომხრჩვალისთვის ტანისამოსის ხდა დაუწყია, რომ იქნება ასე უფრო შევიტყოთ, ვინ არისო. ამ დროს ვიღაცას ბუჩქებიდგან დაუყვირია. „ზედა ტანისამოსს ნუ გახდით, პერანგი და პერანგის ამხანაგი არ აცვიაო“, ხალხი მიმხვდარა მოტყუებასა და გაულანძღავს მატყუარა, თუმცა დაჭერით-კი ვერ დაუჭერია. ბოლოს ერთს სახლის პატრონს აუღია და თავლაში შეუგდია ეს საფრთხობელა, რომ მეორედ აღარავინ შეშინდესო. მეორე დღეს მისულა პატრონი სელში და საფრთხობელა რომ ვეღარ უპოვნია, გაჯავრებულა. ბაზარში რომ ჩამოუვლია, იქ შეუტყვია ყველაფერი დაწვრილებით და უთქვამს: „ვაი დედი ჩემის ღმერთსა მე ჩიტები მინდოდა შემეშინებინა და კაცები-კი დავაფრთხეო“.

◆◆

უცხოეთი

ბოლგარია. რუსეთში თითო-ოროლა მწერალი და განათლებული კაცი ძალიან ემხრობა ბოლგარიას და ისიც-კი რუსეთს ამტყუნებს. მაგალითებრ ტატიშჩევი ამ ორის წლის წინად დაუღალავად ჰქადაგებდა, რომ სტამბულოვის მთავრობა თანაგრძნობის ღირსია და ჩვენ, რუსები, უნდა მოურიგდეთ როგორმე ამ მთავრობასაო. ეს ტატიშჩევი ბოლგარიაშიაც წავიდა წრეულს სამოგზაუროდ და იქაურობის დასათვალიერებლად. აი რასა სწერს ამ მოგზაურობის შესახებ სტამბულოვის გაზ. „თავისუფლება“.

გუშინ მოვიდა სოფიაში სტამბოლიდგან რუსეთის ცნობილი მწერალი ბ-ნი ტატიშჩევი, ერთი იმ მცირე რუსთაგანი, რომელნიც, რუსეთის აზრით, ბოლგარიაზედ კეთილსა ჰლაპარაკობენ, არ ვიცით, რისთვის მობრძანებულა ეხლა, მერე ისეთს დროს, როცა რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ ჰმოქმედებს ოსმალეთის წინაშე, თუმცა-კი გუმანი გვაქვს აღებული, რომ რუსეთის დიპლომატიის საიდუმლო ხერხი რამ იქნება კიდევ. ჩვენ გვითხრეს, რომ მისი მოწყალება კეთილის აზრით მოსულა ჩვენსას, სახელდობრ, თავზედ ხელი უნდა გადაუსვას თავის უმცროსს ძმებსა და დაამშვიდოსო, სათქმელია ისიც, რომ ტატიშჩევიც დოლგორუკოვზედ გაცილებით გონიერია, პანაშვიდებს არა ჰმართავს და კაზარმებში არ დადის, თუმცა-კი ამბობს, რომ «თქვენთვის სისხლი დამიღვრიაო». ყველაფერი აქო ბოლგარიაში, მხოლოდ ის არ მოიწონა, რომ რუსეთთან ვერა რიგდებით და ეს მოურიგებლობა-კი სლავიანთა საქმეს აფუჭებსო. იმის აზრით, რუსეთისა და ბოლგარიის ინტერესები მეტად მკვიდრად არის შეერთებული და ეხლანდელი მდგომარეობა უნდა გამოირკვეს როგორმეო. რუსეთს განზრახვადაც არა ჰქონდა ბოლგარიის თავის გუბერნიად გადაქცევა, ჩვენ ორივენი ბევრსა ვსტყუოდით და ვცრუობდით და ამდენი ურიგ მორიგობა იმიტომ გაჩნდაო. რუსეთის მთავრობა დიდადა სწუხდა თქვენთვის და თქვენი გაბედნიერება უნდოდა. როცა ბ-ნი ტატიშჩევი ამას ამბობდა, თვალები ცრემლით ევსებოდა. მოვისმინეთ ეს ლამაზი სიტყვები, მაგრამ მართლის თქმა სჯობია, დაჯერებით-კი არ დაგვიჯერებია: მოგვაგონდა კაულბარსი და იმისი ნალაპარაკევი, ნელიდოვის ნოტა, რუსეთის გაზეთები და მათი ლანძღვა-გინება და სხ. და სხ. გაგვახსენდა და ამ გახსენებამ იძულებულ გვყო ტატიშჩევიც იმ რუსთანად მიგვეჩნია, რომელნიც ჩვენს ყმადა და მონად გახდომას იყვნენ მოწადინებულნი. ეჭვი გვაქვს, ეს ვაჟბატონი განგებ უნდა იყოს მოგზავნილი, რადგან ბოლგარელებს იმ თავითვე არ ჰმტრობდა, იმ აზრით, რომ ბოლგარია მოარიგოს როგორმე რუსეთთან. ეს მოგზავნა შუამავლისა იმ მარცხის შედეგია, რომელიც რუსეთის მთავრობას ბოლგარიის ნოტას შესახებ მოუვიდა. რუსები მიხვდნენ, რომ ჩვენმა მუქარამა და მუშტზედ ცქერამ არაფერი სიკეთე დაგვაყარაო, და პოლიტიკას გზა უცვალეს. ბევრი ავაზაკური საშუალება იხმარეს, რომ არეულობა და ამბოხება მოეხდინათ, მაგრამ ვერა გააწყეს რა. ბოლგარელები არა ჰხოცავენ ერთმანეთს. პანიცა უკანასკნელი ხერხი იყო რუსეთისა და ისიც თავისსავე თავს გამოემშვიდობა.

„ძალიან კარგი. თუ შერიგებაა, შევრიგდეთ. ხოლო რუსეთის მთავრობას ჯერ საცირკულიარო ნოტა უნდა დაერიგებინა დიდის სახელმწიფოებისათვის და გამოეცხადებინა, რომ თავადის კობურგელის მთავრობა და ბოლგარიის დამოუკიდებლობა აღვიარეთო. თუ ამას იზამენ, მორიგებას აღარა დაუშლის-რა. მხოლოდ იმას-კი ნუ გაიელებენ გონებაში რუსები, ვითომ იმათი აფიცრები და მოხელეები გვეჭირდეს, რადგან ჩვენცა გვყავს ბევრი ისეთი კარგი და გამოცდილი აფიცერი და მოხელე, რომელსაც, არამც თუ რუსების დარიგება არ უნდათ, თვით იმათ დარიგებას მისცემენ და ჭკუას ასწავლიან. ერთი რამ-კი დიდად გვაკვირვებს: იმ დროს, როცა ჩვენნი რუსეთის კეთილის მდომნი ჩვენთან მოდიან და მორიგების ჩამოგდებასა ცდილობენ, რუსეთის ოფიციოზური გაზეთები ჰქადაგებენ, რომ მთავარი უნდა გავაძევოთ ბოლგარიიდგანაო. ეს რას ჰნიშნავს? მაშ როგორ და ვის-და უნდა მოვურიგდეთ? დიდად ვწუხვართ. რუსეთის დიპლომატიამა და სხვა-და-სხვა დოლგორუკ-ტატიშჩევებმა ჯერ გაიგონ და შეიტყონ, რომ თავ. ფერდინანდი ბოლგარიის ხელმწიფეა, ბოლგარიას იმისი უარ-ყოფა აზრადაც არა აქვს და ჩვენთან მორიგების მსურველთ უპირველეს ყოვლისა იგი უნდა ირწმუნონ, და მერე ისე მობრძანდნენ ჩვენთან. თუ არა, და ნუღარც გვესტუმრებიან. ბ-ნი ტატიშჩევი თვითვე სწერდა ბოლგართა სასარგებლოდ და რუსეთის დიპლომატიასა ჰკიცხავდა, ხოლო როცა საქმე თავ. ფერდინანზედ მიდგება ხოლმე, ისიც სხვა რუსეთის მწერლებს აძლევს ბანს. იგი ამბობდა, რომ სტამბულოვის მთავრობას უნდა მოვურიგდეთო და თვით სტამბულოვს გავაძევებინოთ თავადი ფერდინანდი ბოლგარიიდგანაო. აშკარაა, იმასაც ისა ჰქონდა აზრად, რომ ფერდინანდი გავედო და იმის ადგილი ვიღაც მეგრელისათვის დაეჭერინებინა. ჩვენც ასეთს მორიგებას არ ვინდომებთ, არამედ იმათი ასეთი თავადი რომ მოვიდეს, ან სოფიის საპატიმროში ამოვაყოფინებთ თავს და ან საზღვარ იქით გავაცილებთ. იცოდნენ და ნუ დაივიწყებენ ამას ჩვენი კეთილის მდომნი. ჩვენი ახალი სტუმარი, ბ-ნი ტატიშჩევი, ალბად დარწმუნდა, რომ რუსეთის დიპლომატიამ ბოლგარიასთან მორიგების ოცნებობას თავი დაანებოს. მაგრამ წარსულს რა ეშმაკი დააბრუნებს. კიდეც ამიტომ ინება მეორე დღესვე მაჰმადიანთა ბოლგარიიდგან ბრძანება, ამ „საგიჟეთიდგან“, და ჩვენთა ძმათა სერბიელებთან გასწია მეფის წყალობის დასარიგებლად“.

◆◆

დეპეშა

18 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ ფინანსთა მინისტრი პეტერბურგიდგან წავიდა.

გუშინ დასრულდა საერთა-შორისო ჯიბრი პიანინოს დამკვრელებისა რუბინშტეინის სახელობაზედ დაწესებულ პრემიის მისაღებად. პიანინოს დასამკვრელო პრემია მიიღო რუსმა დუბასოვმა, ხოლო საკომპოზიტორო—იტალიელმა ბუსონიმ.

დამოქნის გარდასახადის სავექსილო კურსის ცვლილებასთან შესათანხმებლად უმაღლესად ნაბრძანებია, რომ 1891 წ. 1 ივლისამდე მანეთზე 20 კაპ. ოქროთი დაინიშნოს დასამატებელი გარდასახადი იმ საქონელზე, რომელსაც ევროპის საზღვრებიდგან შემოიტანენ. ამაში ჩათვლილია შავის ზღვის ამიერ-კავკასიის ნავთ-სადგურებიც. ეს გარდასახადი უნდა დაედოს ქვა-ნახშირს, კოკსა და ტორფს, რომელსაც-კი შავისა და აზოვის ზღვით შემოიტანენ; მანეთზე 40 კაპ. ოქროთი უნდა დაედოს იმ საქონელს, რომელსაც დასავლეთის ხმელეთით და ბალტიის ზღვით შემოიტანენ; გარდასახადი არ მოემატება კაპარსა, ზეთის ხილსა, დაფნის ფოთოლსა და ნაყოფსა, ყავასა, კაკაოსა, შაქრის პურეულობას, ჩაისა და შაქარს. ეს გარდასახადი ამ უწყების გამოქვეყნების დღიდგანვე უნდა იქმნას შემოღებული.

გამოცხადებულია ფინანსთა სამინისტროს განკარგულება, რომ სადა-

მოქნო გარდასახადში ნუღარ მიიღებთ მე-7 5% ბილეთების კუპონებს და იმის მაგიერ მე-3 ოქროს სესხის ობლიგაციები და იმისი კუპონები მიიღეთო.

„Новости“ იუწყება, რომ უკვე გადაწყვეტილია, დაარსდეს საგეოდეზიო სატოპოგრაფიო განყოფილება უმთავრესს შტაბთან რუსეთისა და იმის განაპირა ადგილების გეოგრაფიულა შესასწავლადაო.

მოსკოვი. დღეს აქ მოვიდა ფინანსთა მინისტრი, დაათვალიერა სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა და სტროგანოვის სატეხნიკო მხატვრობისა და სამრეწველო მუზეის შენობანი და 4 საათზედ ნიჟნი-ნოვგოროდში წაბრძანდა.

19 აგვისტო

პეტერბურგი. „Нов. Вр.“ იუწყება, რომ ბუხარას ემირმა გადასწყვიტა, რუსეთის ჯარის ტანთ-საცმელი შეუკეროს თავის ჯარსაც, და სთხოვა მთავრობას, რომ გამიმწესეთ ბუხარაში გამოცდილი აფიცრები ჩემის ჯარის გასაწვრთნელადაო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ ხმა დადის, ვითომ ისხაკა-ხანს განზრახვა ჰქონდეს, სთხოვოს რუსეთის მთავრობას, თქვენს ქვეშევრდომად მიმიღეთ და რუსეთის ჯარში ჩამრიცხეთო.

ხმა დადის, რომ ახალი სააფთიაქო წესდება 1891 წლის დამლევიდგან იქმნება შემოღებულიო.

სტამბოლი. მართლ-მადიდებელი მიტროპოლიტი მაკედონიის მონასტრისა დაპატიმრებულ იქმნა სულთანის ბრძანებით. ამ მიტროპოლიტს ის ბრალი ედება, რომ მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული საზღვარ გარეთის სახელმწიფოსთანაო.

ბელგრადი. დედოფალს ნატალიას განზრახვა აქვს, გამოაქვეყნოს სერბია-ბოლგარიის ომის დროინდელი მილან ობრენოვიჩის წერილები, რათა ფარდა აჰხადოს ნამეფევარის ორაზროვანს მოქმედებას.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აგვისტო.

	მყიდველნი. მან. კ.	გამყიდველნი. მან. კ.	გაყიდულნი. მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	6 60
ტამოჟნის კუპონები . .	— „	„	$132^1/_4$
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1 11	„	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	$228^1/_2$	— „	— „
—მეორისა	218	— „	— „
—მესამისა	— „	— „	$213^3/_4$
გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა .	— „	100, 37	— „
ქუთაისის ბანკისა . .	100	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	— „	— „	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით. პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მაასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობით და კვირაობით. რკინის გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

განცხადებანი

1 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში მიღებულნი ჯან-მრთელი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს) ქ. ტფილისში, ანუ სკოლის ზედამხედველს თ. ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს ს. წინამძღვარიანთ-კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენენ: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 6) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ: სწავლას, და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ, სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთკარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შაგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი (ფულის მაგიერ შეუძლიან მშობლებმა შემოიტანონ ხორაგეული) შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარი წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შაგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, ვიდრე შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინად უნდა სკოლაში შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კროვატი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კროვატის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანისამოსი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, მას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველივე გვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ · смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельскохозяйственной школы кн. Ер. К. накашидзе·

თმის გასამაგრებელი

ბალზამი ევკალიპტი

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

ეს თმის გასამაგრებელი საშუალება სპობს თავის ქერტლს და თავს კანს სინაზეს აძლევს.

თითო შუშა ღირს 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით 2 მან. ორი შუშა გაგზავნით—3 მან. 50 კაპ.

სიყალბის ასაცილებლად მყიდველებსა ვთხოვთ ყოველს შუშაზედ გასინჯონ, რომ ეტიკეტს წითლის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 38. (5—3)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ჰნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—38)

ტფილისის გამოფენის

ვერცხლის.

ოქროს.

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—15

ოქროს

მედალი

თამბაქოს ფაბრიკა

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—9)

Доз. ценз Тифлисъ, 20-го Августа 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე